ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი ეგვიპტეს ეწვია

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 06.11.2022. 6 ნოემბერს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს ლოცვა-კურთხევით მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი ქაიროში ჩავიდა.

ვიზიტის მიზანია კოპტის უწმინდეს პატრიარქ თავადროს II-სთან შეხვედრა კოპტის ეკლესიის წინამძღვრის 70 წლის იუბილისა და საპატრიარქო ტახტხე მისი გამორჩევის 10 წლის ზეიმის დღეებში.

ჩასვლისას მიტროპოლიტმა ანტონიმ მოინახულა ქაიროს ისტორიული ქრისტიანული ცენტრი და იქ დავანებულ სიწმინდეებს თაყვანი სცა. სსკგ-ის თავმჯდომარე ეწვია „დაკიდებულ ეკლესიას“ (მუალიაკა), რომელიც აგებულია ძველი რომაული ციხესიმაგრე „ეგვიპტის ბაბილონის“ ნანგრევებზე და დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა კოპტის პატრიარქების საკათედრო ტაძარს. იერარქმა მოილოცა წმინდა მოწამეთა სერგისა და ბაკხოსის ტაძარი, სადაც თაყვანი სცა ქრისტიანული ერის პირველსაუკუნეთა ამ წმინდანების წმინდა ნაწილებს. ტაძარი აგებულია IV საუკუნის გროტზე, სადაც სამი თვის განმავლობაში ცხოვრობდა ჰეროდეს დევნას გამორიდებული წმინდა ოჯახი. მიტროპოლიტმა ანტონიმ ასევე მოილოცა ამ გროტში მოწყობილი ტაძარი, რომლის საძირკველიც 58 წლით თარიღდება.

შემდეგ მოილოცეს წმინდა დიდმოწამე ბარბარეს ტაძარი, სადაც მისი წმინდა ნაწილია დაბრძანებული, ასევე – წმინდანების იულიანეს, დამიანეს და ღვთის სხვა სათნომყოფელთა წმინდა ნაწილები. ამის შემდეგ მეუფე ანტონი წმინდა დიდმოწამე ძლევაშემოსილი გიორგის დედათა მონასტერს ეწვია (მარ გირგისი), სადაც ის თბილად მიიღო იღუმენია თეკლამ, რომელიც დიდი სიხარულით შეხვდა სავანეში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალი წარმომადგენლის სტუმრობას.

7 ნოემბერს შედგება მიტროპოლიტ ანტონის შეხვედრა კოპტის უწმინდეს პატგრიარქ თავადროს II-სთან.

მოგზაურობაში სსკგ-ის თავმჯდომარის თანმხლები პირებია სსკგ-ის მდოვანი ქრისტიანთაშორისო ურთიერთობებში მღვდელმონაზონი სტეფანე (იგუმნოვი), სსკგ-ის თავმჯდომარის თანაშემწე მღვდელი ალექსანდრე ერშოვი და კოპტოის პატრიარქის მრჩეველი დოქტორი ანტონ მილადი.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89776/